პრეს- რელიზი

3 ივლისი, 2023

BICE, ქართველ პარტნიორებთან - „რეასთან“ და “საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდთან” ერთად, იწყებს პროექტის “გადავლახოთ ბარიერები“ განხორციელებას, რომელიც მხარდაჭერილია საფრანგეთის მიერ

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) მხარდაჭერით, ბავშვთა საერთაშორისო კათოლიკური ბიურო (BICE), თავის ორ ქართველ პარტნიორთან თანამშრომლობით, იწყებს პროექტის განხორციელებას, სახელწოდებით - „გადავლახოთ ბარიერები“. იგი შემუშავდა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის აუცილებლობის პასუხად. ისინი დაუცველები არიან საზოგადოებაში მათთვის მიჩენილი ადგილის გამო, მაგრამ ასევე მათი ასაკის, სქესის, არამდგრადი ეკონომიკური მდგომარეობისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ეთნიკური უმცირესობისადმი კუთვნილების გამოც. ეს სამწლიანი პროექტი 2023 წლის 1 ივლისს ამოქმედდება.

« გონებრივი ან ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.»

გაეროს ბავშვის უფლებებათა კონვენციის 23-ე მუხლი

« ბოლო მოეღოს სასტიკ მოპყრობას, ექსპლუატაციას და ადამიანებით ვაჭრობას, ასევე ყველა სახის ძალადობასა და წამებას, რომლის მსხვერპლნიც ბავშვები არიან. »

ამოცანა 16.2 მდგრადი განვითარების მიზნები

« სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის. »

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 11

პრეს- რელიზი

3 ივლისი, 2023

დღევანდელ დღესაც არსებობს ზემოაღნიშნული მუხლების სახელმწიფო ორგანოებისთვის შეხსენების აუცილებლობა, რათა სრულფასოვნად იქნეს უზრუნველყოფილი მათი აღსრულება. როგორც ქვეყნების უმეტესობაში, საქართველოშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მოზარდები ძალადობის წინაშე განსაკუთრებით დაუცველები არიან და მათთვის აღმოჩენილი დახმარებაც ხშირად მათი საჭიროებების ადეკვატური არ არის. ეს ადამიანები უფრო იზოლირებულად გრძნობენ თავს, რადგან მათ ოჯახები და საზოგადოებაც მეორე პლანზე აყენებენ. ისინი ჯერ კიდევ რჩებიან სასკოლო სისტემის გარეთ, ან მოკლებულნი არიან მაღალხარისხოვან შესაბამის განათლებაზე წვდომის შესაძლებლობას. უფრო მოზრდილი ასაკის ახალგაზრდები ასევე განიცდიან პროფესიული ინტეგრაციის ნაკლებობას. არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ზოგიერთისთვის კი - ეთნიკური უმცირესობისადმი კუთვნილებაც, დამატებით დაბრკოლებას ქმნის ამ ბავშვებისა და ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების გზაზე.

> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზარდები 3-4-ჯერ უფრო ხშირად ხდებიან ფიზიკური და სექსუალური ძალადობისა თუ ზრუნვის ნაკლებობის მსხვერპლი, ვიდრე სხვა ბავშვები.

სწორედ ამ დაბრკოლებების დასაძლევად შეიქმნა პროექტი „გადავლახოთ ბარიერები“. ის ეფუძნება ინოვაციურ სინერგიას, რომელიც აერთიანებს ბავშვთა კათოლიკური საერთაშორისო ბიუროსა (BICE) და მისი პარტნიორების პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებში (კავშირი „რეა“) და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფონდი- PHF).

სამწლიან პროექტს (1 ივლისი, 2023 - 30 ივნისი, 2026) მხარს უჭერენ საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), Carigest, Lord Michelhe Hellingley-ის ფონდი და BICE-ს დონორები. პროექტი ხორციელდება დედაქალაქ თბილისში და ქვეყნის სამხრეთით მდებარე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სამ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში: ასპინძაში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში.

პროექტის აღწერა

პროექტი გვთავაზობს კომლექსურ პასუხს ზემოხსენებულ გამოწვევებზე, რომლებიც დაგროვდა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ძალადობის, ისე მათი სოციალურ - პროფესიული იზოლირებულობის კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად, მასში გაერთიანებულია PHF-ის გამოცდილება ძალადობის პრევენციისა და მის შედეგებთან გამკლავების თვალსაზრისით და „რეას“ გამოცდილება შშმ პირების მხარდაჭერისა და სპეციალიზებული განათლების მიმართულებით.

BICE პროექტის შემუშავების ინიციატორი და მის საერთო კოორდინაციაზე პასუხისმგებელი მხარეა. ის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პარტნიორების უნარების გაძლიერებაში (გენდერის საკითხები, ბავშვთა დაცვის პოლიტიკა, ადვოკატირება და სპეციალიზებული თერაპიული მხარდაჭერა). ის ასევე ხელს შეუწყობს ადვოკატირების საერთაშორისო ინიციატივების განხორციელებას.

პრეს- რელიზი

3 ივლისი, 2023

BICE ხელს შეუწყობს ორ პარტნიორს შორის თანამშრომლობას, გააძლიერებს მათ თავისი ექსპერტთა ქსელის მეშვეობით, ასევე მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გამოყენებით. და ბოლოს, ის მხარს დაუჭერს PHF-სა და „რეას“ მიერ პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოდების გამოყენებასა და გავრცელებას.

პროექტის ფარგლებში რეალიზდება სამი ურთიერთშემავსებელი მიმართულების საფუძველზე შემუშავებული სტრატეგია:

• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის რისკების შესახებ შეზღუდული შესაზლებლობის მქონე ბავშვების და მათი თანატოლების, ოჯახის წევრების, სპეციალისტების ცნობიერების ამაღლება; ეს აქტივობა თანხვედრაშია პრევენციის, ინფორმირებისა და მხარდაჭერისკენ მიმართულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პროცესთან .

• დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ცნობილი ქართველი ოსტატების ჩართულობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინდივიდუალური პროფესიული/სახელობო მომზადება, რომელიც ზოგიერთ მათგანს შემოსავლის მომტანი საქმიანობის (IGA) დაწყებაში დაეხმარება. შემდგომში ეს ხელს შეუწყობს მათ უკეთ ინტეგრირებას სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასეთ ინდივიდუალურ მეცადინეობებს თერაპიული ზემოქმედების ეფექტიც ახლავს.

• ბავშვთა დაცვის სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისა და ადგილობრივი თემების ლიდერების შესაბამისი უნარების განვითარება-გაძლიერება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების უკეთ პრევენციისა და მათზე ეფექტურად რეაგირების მიზნით.

მიზანი

ქალაქ თბილისსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მზრუნველ გარემოში გაზრდისა და მათი სოციალური და პროფესიული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

2023 წლიდან 2026 წლამდე პროექტით პირდაპირ ისარგებლებს 1334 ადამიანი, ირიბად კი 3025 ადამიანი.

საქმიანობის ხუთი მაგალითი

• ძალადობის მსხვერპლი ან ასეთი რისკის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 120 ბავშვის მხარდაჭერა.

• ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა ინიციატივები, მათ შორის მარიონეტების წარმოდგენის პიესის შექმნა და მისი ჩვენება ბავშვების მონაწილეობითა და რეზო გაბრიაძის ცნობილი მარიონეტების თეატრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

• სახელობო მომზადების ტრენინგების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 50 ახალგაზრდისა და 60 დედისთვის, რაც მათ შემოსავლის მომტან საქმიანობაში ჩართვის საშუალებას მისცემს.

პრეს- რელიზი

3 ივლისი, 2023

• ხელნაკეთი ნივთების წარმოება და რეალიზაცია, შესაბამისად, სამ შემოქმედებით სახელოსნოში და ექვს სარეალიზაციო სივრცეში. შემოქმედებითი სახელოსნოები ითანამშრომლებენ ცნობილ ქართველ ხელოვანებთან და ოსტატებთან (ირა ელისტრატოვა- ასათიანი-კერამიკოსი, ტანსაცმლისა და აქსესუარების დიზაინერი, ოთარ შარაბიძე- კერამიკოსი, გულიკო ჭუმბაძე - ტექსტილისა და კერამიკის სპეციალისტი, მანანა აბზიანიძე- ტექსტილის დიზაინერი და მეთოჯინე). სარეალიზაციო ობიექტებს შორისაა „რეას“ მიერ დაფუძნებული ხელნაკეთი ნივთების მაღაზია - „ამფორეა“. იგი თბილისში, ძველი თბილისის ტურისტულ ზონაში მდებარეობს, რაც ნამუშევრების რეალიზაციის საუკეთესო პირობებს უზრუნველყოფს.

• ტრენინგების ჩატარება ბავშვთა დაცვის სფეროში დასაქმებული 120 პროფესიონალისთვის ძალადობის პრევენციის, გამოვლენის, გაფრთხილებისა და ინტერდისციპლინური მხარდაჭერის საკითხებში.

ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი: 533 333 ევრო

AFD-ს გრანტი: 320 000 ევრო

მედია კონტაქტი

საფრანგეთის განვითარების სააგენტო AFD

ეკატერინე ბილანიშვილი
კომუნიკაციის მენეჯერი
bilanishvilie@afd.fr
(00 995) 511 113 572

ლია სარალიძე, აღმასრულებელი დირექტორი PHF
l_saralidze@phf.org.ge
(00 995) 322 421 422

„რეა“: ელისო რეხვიაშვილი
eliso.rekhviashvili1@gmail.com
(00 995) 599 577 541

პრეს- რელიზი

3 ივლისი, 2023

ვინ ვართ ჩვენ?

BUREAU INTERNATIONAL CATHOLIQUE DE L'ENFANCE (BICE)

ბავშვთა საერთაშორისო კათოლიკური ბიურო (BICE) დაარსებულია 1948 წელს. იგი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა რეგულირდება საფრანგეთის კანონით (1901 წ.) და მისი „საერთო ინტერესის ხასიათი" აღიარებულია პრეფექტურის გადაწყვეტილებით. 2008 წლიდან მას მინიჭებული აქვს «Don en Confiance - იმ ასოციაციებისა და ფონდების სერტიფიცირებისა და კონტროლის ორგანოს ნიშანი, რომლებიც საზოგადოებას მიმართავენ მხარდაჭერისთვის. ფონდი აერთიანებს და ხელმძღვანელობს 85 ორგანიზაციისგან შემდგარ ქსელს. თავისი საქმიანობით ისინი მოწოდებულნი არიან დაიცვან თითოეული ბავშვის ღირსება, რომლებსაც, როგორც საზოგადოების სრულფასოვან წევრებს, აქვთ საკუთარი უფლებები. BICE-ს მისია ხორციელდება კვლევითი საქმიანობის, განათლების, სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენისთვის განკუთვნილი ადვოკატირების მეშვეობით და იმ პროექტების მხარდაჭერით, რომელთა მიზანია მოწყვლად სიტუაციაში მყოფი ბავშვებისთვის დახმარების აღმოჩენა. BICE-ს პროექტის ორ პარტნიორთან საქართველოში მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების სხვადასხვა საჭიროებებთან დაკავშირებით, ისე მათ მიმართ ძალადობის სფეროში. BICE-ის პროექტებმა საქართველოში განაპირობა, კერძოდ, სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვებზე ინტერდისციპლინარული ზრუნვის გრძელვადიან პერსპექტივაში გაუმჯობესება და შეიმუშავა მეთოდოლოგია დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა შშმ ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გასამყარებლად მიმღები ოჯახების მხარდაჭერის, დღის ცენტრების გაძლიერების და შემოსავლის მომტანი საქმიანობის განვითარების გზით.

ორი ადგილობრივი პარტნიორი

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი (Public Health Foundation of Georgia PHF) დაარსდა 1999 წელს იმ მიზნით, რომ მოწყვლად სიტუაციებში მყოფ ბავშვებს მისცემოდათ ჯანმრთელობის უფლების რელიზაციის შესაძლებლობა, ძალადობის, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხის აღიარების გზით. ეს მიდგომა იმ დროისთვის ნოვატორულს წარმოადგენდა. მას შემდეგ PHF პრევენციულ და ყოვლისმომცველ დახმარებას უწევს ძალადობის, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ, ან მის მსხვერპლ ბავშვებს.

კავშირი „რეა" ჩამოყალიბდა 2001 წელს. მისი მიზანია შშმ ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობაა. „რეას" საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულებაა რეაბილიტაციისა და ინკლუზიის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება, ასევე ამ გამოცდილების გავრცელება და პოპულარიზაცია ინსტიტუციურ დონეზე.

AGENCE FRANCAISE DE DEVELOPPEMENT (AFD)

სახელმწიფო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით, კვლევების და პუბლიკაციების (Editions AFD), მდგრადი განვითარების საკითხებზე ცოდნის მიწოდების (Campus AFD) და საფრანგეთში საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის მეშვეობით, AFD აფინანსებს, მხარს უჭერს და აჩქარებს უფრო სამართლიანი და მდგრადი სამყაროსკენ გადასვლის პროცესს. პარტნიორებთან ერთად, სამხრეთის ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებთან ერთობლივად, AFD იღებს მათთვის განკუთვნილ საერთო გადაწყვეტილებებს. საფრანგეთის განვითარების სააგენტო მონაწილეობს 4000-ზე მეტი პროექტის განხორციელებაში ადგილებზე, საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიებზე, 115 ქვეყანაში და კრიზისულ ვითარებაში მყოფ ტერიტორიებზე საყოველთაო სიკეთეების - კლიმატის, ბიომრავალფეროვნების, მშვიდობის, გენდერული თანასწორობის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში. ამ გზით AFD-ს საკუთარი წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნებისადმი (ODD) საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის ერთგულების გამოხატვის საქმეში, საერთო სამყაროს საკეთილდღეოდ.